

**დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის
სასწავლო და კვლევითი კომპონენტები
და მათი შეფასების წესი**

1. მიზანი

1.1 წინამდებარე წესი აწესრიგებს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტზე სადოქტორო პროგრამების სასწავლო და კვლევითი კომპონენტების ათვისების პროცედურებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2017 წლის 27 თებერვლის №2323 და № 2324 დადგენილებებით დამტკიცებული “საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისდოქტორანტურის დებულებისა” და “საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციოსაბჭოსდებულების”შესაბამისად.

1.2 წესის ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს დოქტორანტის მიერ სადოქტორო პროგრამაზე მუშაობას, დროის ეფექტიანად დაგეგმვას, აკადემიური რესურსის რაციონალურად გამოყენებას, აკადემიური და კვლევითი რესურსების ოპტიმიზაციას, შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

2. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი

1.სასწავლო კომპონენტის მიზანი და ელემენტები

2.1.1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მიზნად ისახავს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას, ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში და ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის. პროგრამის სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს.

2.1.2. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტებია:

(ძალაშია 2017/2018 სასწავლო წლიდან დამტკიცებული პროგრამებისათვის) (აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 თებერვლის დადგენილება №2323)

- სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკის სასწავლო კურსი – 4 კრედიტი;
- კვლევის მეთოდების სასწავლო კურსი – 5 კრედიტი;
- სწავლების მეთოდები და განათლების მენეჯმენტის სასწავლო კურსი– 6 კრედიტი
- სადოქტოროპროგრამასთან დაკავშირებულ სპეცურსები – 20 კრედიტი
- თემატურ სემინარი -1 -10 კრედიტი.
- თემატურ სემინარი - 2 - 15 კრედიტი.

2.1.2.ა დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტებია:

(ძალაშია 2012/2013 სასწავლო წლიდან დამტკიცებული პროგრამებისათვის) (აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 თებერვლის დადგენილება №2325)

- აკადემიური წერა და სამეცნიერო კვლევის მეთოდების სასწავლო კურსი – 5 კრედიტი;
- სწავლების მეთოდების სასწავლო კურსი – 5 კრედიტი;

- პროგრამით განსაზღვრული კვლევითი მიმართულების შესაბამის სასწავლო კურსები, რაც გულისხმობს სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული სპეციალური და მომიჯნავე საგნის/საგნების სიღრმისეულ სწავლებას – 15 კრედიტი;
- პროფესორის ასისტენტობა – 5 კრედიტი;
- თემატურ სემინარი - 1 - 15 კრედიტი;
- თემატურ სემინარი - 2 - 15 კრედიტი;

2.1.2.ბ. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტებია:

(ძალაშია 2014/2015 და 2015-2016 სასწავლო წლიდან დამტკიცებული პროგრამებისათვის)(აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 თებერვლის დადგენილება №2325)

- სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა და სწავლების თანამედროვე მეთოდები –5 კრედიტი;
- კვლევის მეთოდები 5 კრედიტი;
- სადოქტორო პროგრამასთან დაკავშირებულ სპეცკურსები - 20 კრედიტი;
- თემატური სემინარი -15კრედიტი;
- თემატური სემინარი - 15 კრედიტი;

2. პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები

2.2.1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები შესაძლებელია მოიცავდეს ლექციათა ციკლს,ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ და ლაბორატორიულ მუშაობას და სტუდენტის სხვა დატვირთვას.

2.2.2. შეფასების ფორმები, კრიტერიუმები და მათი ხვედრითი წილი, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან და სწავლების მიზნებიდან გამომდინარე, განისაზღვრება სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორის მიერ კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსით და ეცნობება სტუდენტს სემესტრის დასაწყისში.

2.2.3. პროგრამით განსაზღვრული სასწავლო კურსის სწავლებისას სტუდენტის მოსწრება ფასდება „უმალესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

2.2.4. საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული საკითხების ათვისება უნივერსიტეტში ფასდება 100 ქულიანი სისტემით. სასწავლო კურსი დოქტორანტს ჩაბარებულად ეთვლება, თუ შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის შედეგად იგი დააგროვებს 51 და მეტ ქულას. შუალედურ შეფასებებში მინიმალური 30 ქულის მიღების შემთხვევაში დოქტორანტი მიიღებს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლებას და დასკვნით გამოცდაზე მისაღები მინიმალური ქულა კი შეადგენს 20-ს.

2.2.5. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო კურსის დადებით შეფასებად ითვლება:

- (A)- ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B)- ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D)- დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%.

2.2.6. პროგრამით განსაზღვრული სასწავლო კურსის უარყოფით შეფასებად ითვლება:

- (FX)- ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

- (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

3. პროფესორის ასისტენტობა

2.3.1. დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში დოქტორანტი ვალდებულია ასისტენტობა გაუწიოს აკადემიურ პერსონალს და მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში.

2.3.2. პროფესორის ასისტენტობისმიზანია მაქსიმალურად შეუწყოს ხელი დოქტორანტის მომზადებას მომავალი შესაძლო პედაგოგიური მოღვაწეობისათვის.

2.3.3. პროფესორის ასისტენტობა გულისხმობს შესაბამისი სპეციალობის ბაკალავრიატის სტუდენტთა ჯგუფში მეცადინეობების - სემინარის, ლაბორატორიული სამუშაოს, პრაქტიკულის ჩატარებას, შუალედური ტესტირებისათვის საკითხების მომზადებას, სტუდენტთა ნაშრომების გასწორებას. პროცესი მიმდინარეობს დოქტორანტის ხელმძღვანელის მონაწილეობითა და მონიტორინგით.

2.3.4. პროფესორის ასისტენტობის მოცულობა შეადგენს 5 კრედიტს ანუ 125 საათს. პროფესორის ასისტენტობის საათობრივი დატვირთვის გაანგარიშება წინამდებარე დოკუმენტთან ერთვის (დანართი 1).

2.3.5. პროფესორის ასისტენტობის შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით, შუალედური (30 ქულა) და დასკვნითი (70 ქულა) შეფასებებით. პროფესორის ასისტენტობა დოქტორანტს ჩაეთვლება, თუ დასკვნითი შეფასების შემდეგ დააგროვებს 51 და მეტ ქულას. შუალედურ შეფასებაში მინიმალური 15 ქულის მიღების შემთხვევაში დოქტორანტი მიიღებს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლებას. დასკვნით გამოცდაზე მისაღები მინიმალური დადებითი შეფასებაკი შეადგენს 36 ქულას; (ა.ს. 2018 წლის 8 ნოემბრის დადგენილება №01-05-04/313, ძალაშია 2018-19 სასწავლო წლის I სემესტრიდან)

2.3.6. შუალედურ შეფასებასახდენს ხელმძღვანელი, დოქტორანტის მიერ შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, 3 კომპონენტის მიხედვით (დანართი 2); შუალედური შეფასების სკალირებული ქულა (S) მიიღება ფორმულით: $S=2 \times M$, სადაც M არის სამივე კომპონენტის შეფასების ჯამური ქულა. დასკვნითი შეფასების მიზნით დოქტორანტი აკეთებს პრეზენტაციას სემესტრის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს ირგვლივ აკადემიური დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ შექმნილი 5 კაციანი კომისიის წინაშე, რომელშიც შედის დოქტორანტის ხელმძღვანელიც. დასკვნითი გამოცდის შეფასების კრიტერიუმები მოცემულია მე-3 დანართში. შეფასების სკალირებული ქულა (S) მიიღება ფორმულით: $S=4,66 \times M$, სადაც M არის სამივე კომპონენტის შეფასების ჯამური ქულა. (ა.ს. 2018 წლის 8 ნოემბრის დადგენილება №01-05-04/313, ძალაშია 2018-19 სასწავლო წლის I სემესტრიდან).

2.3.7. პროფესორის ასისტენტობის ათვისების შემდეგ დოქტორანტი განივითარებს შემდეგ კომპეტენტურობებს: ცოდნა და გაცნობიერება; ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი; კომუნიკაციის უნარი; ღირებულებები.

4. თემატური სემინარი

2.4.1. დოქტორანტი საგანმანათლებლო პროგრამის სქემით განსაზღვრულ პერიოდში, ამზადებს ორ თემატურ სემინარს. განხორციელებული სასემინარო კვლევის შედეგების

პრეზენტაცია და შესაბამისი თემატური სასემინარო ნაშრომის დაცვა ხორციელდება აუდიტორიის წინაშე.

2.4.2. სამეცნიერო - თემატური სემინარის ძირითადი მიზანია დოქტორანტს:

- შესძინოს შესაბამისი საკვლევი თემის ფარგლებში კონკრეტული დარგის/ქვედარგის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა;
- გამოუმუშავოს პრობლემატური საკითხების გაცნობიერების, პრობლემის სწორად და ეფექტიანად გადაწყვეტის, ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მიდგომების შემუშავების (გამოყენების), საკითხის კრიტიკული გააზრებისა და ინოვაციური მეთოდებით დამუშავების, აგრეთვე თემატურ დისკუსიაში დასაბუთებულად ჩართვის უნარი.

2.4.3. თემატური სასემინარო ნაშრომის შესრულებისა და მისი დაცვის შემდეგ დოქტორანტიგანივითარების შემდეგ კომპეტენტურობებს: ცოდნა და გაცნობიერება; ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი; დასკვნის უნარი; კომუნიკაციის უნარი; სწავლის უნარი; ღირებულებები.

2.4.4. (2017/18 სასწავლო წლიდან დამტკიცებული პროგრამებისათვის)პირველი თემატური სემინარისმოცულობა არის10 კრედიტი ანუ 250 საათი (10X 25=250 სთ), მათ შორის 20სთ კონსულტაციებისათვის და 230 სთ დამოუკიდებელი მუშაობისათვის; (2012/13; 2014/2015 და 2015-2016 სასწავლო წლიდან დამტკიცებული პროგრამებისათვის)პირველი თემატური სემინარის მოცულობა 15 კრედიტი ანუ 375 საათი (15X25=375 სთ),მათ შორის: 20სთ კონსულტაციებისთვის და 355 სთ დამოუკიდებელი მუშაობისთვის.

მეორე თემატური სემინარის მოცულობაა 15კრედიტი ანუ375 საათი (15X25=375 სთ), მათ შორის: 20სთ კონსულტაციებისთვის და 355 სთ დამოუკიდებელი მუშაობისთვის.

2.4.5. სასემინარო ნაშრომის თემას არჩევს დოქტორანტის ხელმძღვანელი დოქტორანტთან შეთანხმებით.

2.4.6. სასემინარო ნაშრომის თემა უნდა ეძღვნებოდეს დარგის/ქვედარგის აქტუალურ საკითხებს და იგი არ არის სადისერტაციო ნაშრომის ნაწილი.

2.4.7. თემატური სემინარის ნაშრომის მოცულობა უნდა იყოს, არანაკლებ 15 გვერდისა დანართების გარდა.ყველა გვერდი უნდა დაინომროს თანმიმდევრობით, დაუშვებელია თავისუფალი სივრცის ან გვერდის დატოვება. ტექსტი უნდა შესრულდეს A4 ფორმატის (297×210 მმ) 80 გ/მ² სიმკვრივის ქაღალდზე, შრიფტი - Sylfaen, ზომა 12. გვერდის ნომრებისა და სქოლიოს შრიფტის მინიმალური ზომაა - 10. თავებისა და ქვეთავების დასახელებაში შეიძლება გამოყენებული იქნას უფრო დიდი ზომის შრიფტი. ნაშრომის ძირითადი ტექსტისთვის ინტერვალი არის 1.5. ტექსტი უნდა დაიბეჭდოს მხოლოდ ერთ გვერდზე. გვერდის მარცხენა მხარეს უნდა დარჩეს 30 მმ მინდორი, ხოლო დანარჩენ მხარეებზე – 20 მმ. ტექსტი უნდა დაიბეჭდოს ლაზერულ პრინტერზე ან მასთან მიახლოებული ხარისხით. ნაშრომს თან უნდა ერთვოდეს გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი.

2.4.8. დოქტორანტის თითოეული თემატური სემინარი ფასდება მაქსიმუმ 100 ქულით, შუალედური (30 ქულა) და დასკვნითი (70ქულა) შეფასებებით.სემინარისჩატარების უფლების მოსაპოვებლად დოქტორანტი სემესტრისმე-9 კვირაში, შუალედური შეფასების მიზნით, სასემინარო ნაშრომს წარუდგენს ხელმძღვანელს, რომელიც 4 კომპონენტის მიხედვით, ახდენს სასემინარო ნაშრომის შინაარსობრივი მხარის შეფასებას (დანართი 4). ნაშრომი ფასდება მაქსიმუმ 30 ქულით, მინიმალური დადებითი შეფასებაა 15 ქულა. შუალედური შეფასების სკალირებული ქულა (S) მიიღება ფორმულით: $S=1.5 \times M$, სადაც M არის ოთხივე კომპონენტის შეფასების ჯამური ქულა; (ა.ს. 2018 წლის 8 ნოემბრის დადგენილება №01-05-04/313, ძალაშია 2018-19 სასწავლო წლის I სემესტრიდან).

თემატური სემინარის შუალედური შეფასების კრიტერიუმებია

- 1.საჭირო ინფორმაციაზე წვდომა/მაქსიმალური შეფასება - 5 ქულა;
2. პრობლემის იდენტიფიცირება/მაქსიმალური შეფასება - 5 ქულა;
3. ინფორმაციის გამოყენების ეფექტიანობა/მაქსიმალური შეფასება - 5 ქულა;
4. გამოყენებული კვლევის მეთოდების სისტემა/მაქსიმალური შეფასება - 5 ქულა.

2.4.9. დასკვნითი შეფასების მიზნით, თემატური სასემინარო ნაშრომი, ხელმძღვანელის შუალედური შეფასებით, შესაბამისი სასწავლო სემესტრის დასრულებამდე (არაუგვიანეს მე-15 სასწავლო კვირისა) გადაეცემა აკადემიურ დეპარტამენტს.

2.4.10. წარდგენილი სასემინარო ნაშრომის პრეზენტაციისათვის, დეკანატის *adisertacio sabWos mdivanTan erTad* ახდენს სემინარის ორგანიზებას.

2.4.11. სემინარზე დოქტორანტის ნაშრომს აფასებს 5-9 წევრისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც ქმნის დეკანი აკადემიური დეპარტამენტის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე, კომისიის შემადგენლობა მტკიცდება ფაკულტეტის ბრძანებით. კომისიაში შეიძლება შევიდნენ ფაკულტეტის შესაბამისი დარგის აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები, მოწვეული პროფესორები და სხვა დაწესებულების სპეციალისტებიც. კომისია თავისი შემადგენლობიდანირჩევს თავმჯდომარეს და მდივანს.

2.4.12. სემინარის ჩატარების თარიღი და ადგილი უნდა განთავსდეს ფაკულტეტის ვებ-გვერდზე და გამოიკრას თვალსაჩინო ადგილზე სემინარის ჩატარებამდე ერთი კვირით ადრე, რათა ნებისმიერ მსურველს შეეძლოს მასზე დასწრება.

2.4.13. სემინარის ფარგლებში დოქტორანტი ახორციელებს სასემინარო კვლევის შედეგების პრეზენტაციას (15–20 წუთი), რომელსაც მოჰყვება დისკუსია.

2.4.14. სასემინარო ნაშრომის, მისი საჯარო პრეზენტაციისა და დისკუსიაში მონაწილეობის შეფასებას კომისიის თითოეული წევრი ახდენს 4 კომპონენტის მიხედვით, მაქსიმუმ 70 ქულით (დანართი 5). დასკვნითი ქულა განისაზღვრება კომისიის ყველა წევრის მიერ დაწერილი ქულების საშუალო არითმეტიკულით (მიღებული ქულების ჯამი გაიყოფა შემფასებელთა რაოდენობაზე). შეფასების სკალირებული ქულა (S) მიიღება ფორმულით: $S = 3.5 \times M$, სადაც M არის ოთხივე კომპონენტის შეფასების ჯამური ქულა; (*ა.ს. 2018 წლის 8 ნოემბრის დადგენილება №01-05-04/313, ძალაშია 2018-19 სასწავლო წლის I სემესტრიდან*).

თემატური სემინარის დასკვნითი შეფასების კრიტერიუმებია:

1. ინფორმაციისა და მისი წყაროების კრიტიკული შეფასება, მაქსიმალური შეფასება - 5 ქულა;
2. დასკვნები და შედეგები, მაქსიმალური შეფასება - 5 ქულა;
3. ჩატარებული კვლევის ხარისხი, მაქსიმალური შეფასება - 5 ქულა;
4. თემის წარდგენის უნარი, მაქსიმალური შეფასება - 5 ქულა.

2.4.15. **ამოღებულია** (*ა.ს. 2018 წლის 8 ნოემბრის დადგენილება №01-05-04/313, ძალაშია 2018-19 სასწავლო წლის I სემესტრიდან*).

2.4.16. თემატური სემინარი 1-ის დადებითი შეფასების შემთხვევაში (51 და მეტი ქულა), დოქტორანტი აგრძელებს სწავლას.

3.2.17. თემატური სემინარი-1-ის უარყოფითი შეფასების შემთხვევაში (51-ზე ნაკლები ქულა), დოქტორანტი განმეორებით წარადგენს ნაშრომს არსებული წესის შესაბამისად.

3.2.18. თემატური სემინარი 2-ის წინაპირობაა თემატური სემინარი 1-ის გავლა.

3. საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი

1. კვლევითი კომპონენტის მიზანი, ელემენტები და შეფასების წესი

3.1.1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის მიზანია სამეცნიერო კვლევების დამოუკიდებელი ჩატარების პრაქტიკული ჩვევების გაღრმავება, პროფესიული კვლევითი კულტურის ფორმირება და განვითარება. სადისერტაციო თემის

აქტუალურობა, სიახლე, კვლევის მეცნიერული დონე, კვლევის ხარისხი, სამეცნიერო კვლევის შედეგების მდგრადობა და სანდოობა, ფინანსურ მაჩვენებლები(არსებობის შემთხვევაში), გამოყენებული მეთოდები (მეთოდოლოგია), ნაშრომის თეორიული/პრაქტიკული ღირებულება, დისერტაციის გაფორმების ხარისხი და სხვ. ჰუმანიტარული დარგებისათვის სადისერტაციო ნაშრომის განსაკუთრებული მახასიათებელია ახალი ლიტერატურული წყაროების აღმოჩენა და მათი შეტანა სამეცნიერო მიმოქცევაში(მაგალითად, ეპიგრაფიკული ძეგლები; ლექსიკოგრაფიული კვლევები; ხელნაწერები და მათი ტექსტების კრიტიკული კვლევები; საარქივო მონაცემები; არქეოლოგიური, ეთნოლოგიური და ლინგვისტური კვლევების სავსე მონაცემები; სამუზეუმო და შემნახველ ინსტიტუციათა კოლექციების კვლევებით ახლად დადგენილი ფაქტები და ა.შ.);

3.1.2. საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი 120 კრედიტს მოიცავს. მისი სავალდებულო ელემენტებია: 2012-13 და 2014 სასწავლო წლიდან აკრედიტებული პროგრამებისათვის

- სადისერტაციო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი -1 (10 კრედიტი)
- სადისერტაციო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი -2 (20 კრედიტი)
- თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოკვიუმი-1 (15 კრედიტი)
- თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოკვიუმი-2 (15 კრედიტი)
- თეორიული/ექსპერიმენტალური კვლევა/კოლოკვიუმი-3 (30 კრედიტი)
- დისერტაციის დასრულება და დაცვა (30 კრედიტი).

3.1.2¹ 2018-19 სასწავლო წლიდან აკრედიტებული პროგრამებისათვის კვლევითი კომპონენტის სავალდებულო ელემენტებია:

- კოლოკვიუმი - 1 (30 კრედიტი)
- კოლოკვიუმი - 2 (30 კრედიტი)
- სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა (60 კრედიტი)

3.1.3. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის/კომპონენტების შეფასება ხდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის/კომპონენტების შეფასების სისტემაა:

- ა) ფრიადი (*summa cum laude*) – შესანიშნავი ნაშრომი;
- ბ) ძალიან კარგი (*magna cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
- გ) კარგი (*cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
- დ) საშუალო (*bene*) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;
- ე) დამაკმაყოფილებელი (*rite*) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
- ვ) არადამაკმაყოფილებელი (*insufficient*) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;
- ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (*sub omni canone*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

3.1.4. დასახელებული შეფასებები მიიღება შესაბამისი კომისიის/კოლეგიის/საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრების მიერ, დადგენილი კრიტერიუმებით, ფარულად მინიჭებული ქულების (0-100) საშუალო არითმეტიკულის მიხედვით. კერძოდ:

- შეფასება "ფრიადი" მიიღება, თუ დოქტორანტი დააგროვებს 91-100 ქულას;
- შეფასება „ძალიან კარგი“ მიიღება, თუ დოქტორანტი დააგროვებს 81-90 ქულას;
- შეფასება „კარგი“ მიიღება, თუ დოქტორანტი დააგროვებს 71-80 ქულას;
- შეფასება „საშუალო“ მიიღება, თუ დოქტორანტი დააგროვებს 61-70 ქულას;
- შეფასება „დამაკმაყოფილებელი“ მიიღება, თუ დოქტორანტი დააგროვებს 51-60 ქულას;
- შეფასება „არადამაკმაყოფილებელი“ მიიღება, თუ დოქტორანტი დააგროვებს 41-50 ქულას;
- შეფასება „სრულიად არადამაკმაყოფილებელი მიიღება, თუ დოქტორანტი დააგროვებს 40 ქულას და ნაკლებს.

2. სადისერტაციო კვლევის პროექტი - პროსპექტუსი

3.2.1. სადისერტაციო კვლევის პროექტი-პროსპექტუსის დეტალური გეგმა (დასამუშავებელი საკითხების ჩამონათვალი) იწერება ხელმძღვანელთან ერთად

3.2.2. პროსპექტუსის შესრულების შემდეგ დოქტორანტი განივითარებს შემდეგ კომპეტენტურობებს: ცოდნა და გაცნობიერება; ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი; კომუნიკაციის უნარი; სწავლის უნარი;

3.2.3. პროსპექტუსზე მუშაობა მიმდინარეობს დოქტორანტის ხელმძღვანელთან კონსულტაციების (მათ შორის „ონლაინ“ რეჟიმში) და სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის ფორმატში.

3.2.4. სწავლების პირველი წლის განმავლობაში (პირველ და მეორე სემესტრებში) დოქტორანტი ამზადებს ორ პროსპექტუსს. თითოეული პროსპექტუსის მოცულობა შეადგენს 10 და 20 კრედიტს ანუ 250 საათს (10X25=250სთ, მათ შორის, 30 საათი კონსულტაციებისთვის და 220 სთ დამოუკიდებელი მუშაობისთვის) და 500 საათს (20X25=500სთ მათ შორის, 60 საათი კონსულტაციებისთვის და 440 სთ დამოუკიდებელი მუშაობისთვის)

3.2.5. სადისერტაციო კვლევის პროექტის/პროსპექტუსის სტრუქტურა (ნაშრომში საკითხების შეტანა ხდება თითოეული პროსპექტუსის მიზნების შესაბამისად):

- შესავალი (ზოგადი დახასიათება, სამეცნიერო სიახლე, აქტუალობა, მიზნები და თეორიული/პრაქტიკული მნიშვნელობა);
- სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა (საკითხის კვლევის ისტორია, საკვლევი საკითხის მდგომარეობა თანამედროვე მეცნიერებაში, რატომ არის ეს საკითხი აქტუალური, რა ეტაპზეა დოქტორანტი შერჩეული წყაროების კვლევის თვალსაზრისით);
- კვლევის მეთოდოლოგია (დოქტორანტის მიერ შერჩეული თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები);
- ძირითადი საკვლევი საკითხები (რა პრობლემების გადაჭრას ისახავს დოქტორანტი მიზნად);
- დისერტაციის სავარაუდო სტრუქტურა;
- დისერტაციის შესრულების სავარაუდო გრაფიკი (კვლევის გეგმას);
- კვლევის მოსალოდნელ შედეგებს (რა შეიძლება იყოს კვლევის მოსალოდნელი შედეგები? რამდენად შეაქვს დოქტორანტს წვლილი დარგის განვითარებაში?);

3.2.6. პირველი პროსპექტუსი მოიცავს დოქტორანტის მიერ სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავებას და კვლევისათვის აუცილებელ ძირითად ბიბლიოგრაფიას, აგრეთვე, საკითხის კვლევის ისტორიას. დოქტორანტმა მოკლედ უნდა მიმოიხილოს თუ რა არის გაკეთებული ამ მიმართულებით და რა კეთდება ამჟამად (ვინ მუშაობს და რა მიმართულებით). პროსპექტუსში უნდა ჩანდეს საკვლევი საკითხის სიახლე და აქტუალობა, შერჩეული თემის სამეცნიერო და თეორიული/პრაქტიკული ღირებულებების ლოგიკური განმარტება და

დასაბუთება. ავტორმა უნდა იცოდეს თუ რა ტიპის რესურსებს (ლიტერატურა, სტატისტიკა) დაეყრდნობა და სად შეიძლება ამ რესურსის მოძიება.

3.2.7. პროსპექტუსის მოცულობა უნდა იყოს, დაახლოებით 15 გვერდი დანართების გარდაყველა გვერდი უნდა დაინომროს თანმიმდევრობით, დაუშვებელია თავისუფალი სივრცის ან გვერდის დატოვება. ტექსტი უნდა შესრულდეს A4 ფორმატის (297×210 მმ) 80 გ/მ² სიმკვრივის ქაღალდზე, შრიფტი - Sylfaen, ზომა 12. გვერდის ნომრებისა და სქოლიოს შრიფტის მინიმალური ზომაა - 10. თავებისა და ქვეთავების დასახელებაში შეიძლება გამოყენებული იქნას უფრო დიდი ზომის შრიფტი. ნაშრომის ძირითადი ტექსტისთვის ინტერვალი არის 1.5. ტექსტი უნდა დაიბეჭდოს მხოლოდ ერთ გვერდზე. გვერდის მარცხენა მხარეს უნდა დარჩეს 30 მმ მინდორი, ხოლო დანარჩენ მხარეებზე – 20 მმ. ტექსტი უნდა დაიბეჭდოს ლაზერულ პრინტერზე ან მასთან მიახლოებული ხარისხით.

3.2.8. პროსპექტუსის შეფასება ხდება დოქტორანტის ხელმძღვანელის მიერ ერთჯერადად კომპონენტის საფუძველზე ნაშრომი ფასდება მაქსიმუმ 100 ქულით. შეფასების სკალირებული ქულა (S) მიიღება ფორმულით $S=3.33 \times M$, სადაც M არის ექვსივე კომპონენტის შეფასების ჯამური ქულა. (დანართი 6).

პირველი პროსპექტუსის შეფასების კრიტერიუმებია:

1. საკვლევი თემის სიახლის განმარტება და დასაბუთება- მაქსიმალური შეფასება 5 ქულა;
2. საკვლევი თემის აქტუალობის განმარტება და დასაბუთება- მაქსიმალური შეფასება 5 ქულა;
3. შერჩეული თემის სამეცნიერო ღირებულებების ლოგიკური დასაბუთება- მაქსიმალური შეფასება 5 ქულა;
4. შერჩეული მასალა, პირველწყაროები, სამეცნიერო ლიტერატურა- მაქსიმალური შეფასება 5 ქულა;
5. შერჩეული თემის თეორიული/პრაქტიკული ღირებულებება- მაქსიმალური შეფასება 5 ქულა;
6. თემის წარდგენის უნარი- მაქსიმალური შეფასება 5 ქულა.

3.2.9. პირველი პროსპექტუსის დადებითი შეფასების შემთხვევაში (51 და მეტი ქულა), დოქტორანტი აგრძელებს სწავლას.

3.2.10. პირველი პროსპექტუსის უარყოფითი შეფასების შემთხვევაში (51-ზე ნაკლები ქულა), დოქტორანტი განმეორებით წარადგენს ნაშრომს არსებული წესის შესაბამისად.

3.2.11. მეორე პროსპექტუსის ავტორს გააზრებული უნდა ჰქონდეს დაგეგმილი კვლევისა და ანალიზის მეთოდები. დოქტორანტმა ლოგიკური მსჯელობით უნდა დაასაბუთოს წინასწარი შეხედულება/მოლოდინი კვლევის მოსალოდნელი შედეგების შესახებ. მან უნდა ჩამოაყალიბოს საკვლევი პრობლემატიკა, მეთოდოლოგია და კვლევის ძირითადი საკითხები. ამ ეტაპზე დოქტორანტმა უნდა წარმოადგინოს კვლევის გეგმა. და დისერტაციის სავარაუდო სტრუქტურა

3.2.13. დოქტორანტი ხელმძღვანელს წერილობითი ფორმით წარუდგენს მეორე პროსპექტუსზე მუშაობის შედეგებს.

3.2.14. მეორე პროსპექტუსის შეფასება ხდება დოქტორანტის ხელმძღვანელის მიერ ერთჯერადად კომპონენტის მიხედვით (დანართი 7).

მეორე პროსპექტუსის შეფასების კრიტერიუმებია:

1. საკვლევი თემის ორიგინალურობა- მაქსიმალური შეფასება 5 ქულა;
2. გადასაჭრელი პრობლემატიკის მნიშვნელობა- მაქსიმალური შეფასება 5 ქულა;
3. დისერტაციის სავარაუდო სტრუქტურა და შესრულების გრაფიკი- მაქსიმალური შეფასება 5 ქულა;
4. სადისერტაციო ნაშრომში გამოსაყენებელი კვლევის მეთოდოლოგია-

- მაქსიმალური შეფასება 5 ქულა;
 - 5. კვლევის მოსალოდნელი შედეგების ჩამოყალიბება- მაქსიმალური შეფასება 5 ქულა;
 - 6. თემისწარდგენისუნარი- მაქსიმალური შეფასება 5 ქულა.
- 3.2.15. მეორე პროსპექტუსის წინაპირობა პირველი პროსპექტუსის გავლა.
- 3.2.16. დადებითი შეფასების შემთხვევაში (51 და მეტი ქულა), დოქტორანტი აგრძელებს სწავლას.
- 3.2.17. მეორე პროსპექტუსისუარყოფითი შეფასების შემთხვევაში (51-ზენაკლები ქულა), დოქტორანტი განმეორებით წარადგენს ნაშრომს არსებული წესის შესაბამისად.

3.თეორიული-ექსპერიმენტული კვლევა

3.3.1. სწავლების მეორე წლიდან, დოქტორანტი იწყებს თეორიულ/ექსპერიმენტულ კვლევას. კვლევის ფარგლებში დოქტორანტს სწავლების მესამე, მეოთხე და მეხუთე სემესტრებში ევალება, არანაკლებ სამი პუბლიკაციის მომზადება და რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნება(რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალების ნუსხა დადგენილია საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მიერ). სტატიები უნდა ასახავდეს დოქტორანტის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს. ამ პერიოდში დოქტორანტმა ასევე, მონაწილეობა უნდა მიიღოს სულ მცირე ერთ სამეცნიერო კონფერენციაში (პირადად გააკეთოს მოხსენება). თეორიული/ექსპერიმენტული კვლევის შესრულების შემდეგ დოქტორანტიგანივითარებს შემდეგ კომპეტენტურობებს: ცოდნა და გაცნობიერება; ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი; დასკვნის უნარი; კომუნიკაციის უნარი; სწავლის უნარი; ღირებულებები.

3.3.2. თეორიულ/ექსპერიმენტულ კვლევის დროს დოქტორანტმა უნდა წარმოადგინოს კვლევის მეთოდები, წარმოაჩინოს, მოცემულ ეტაპზე ჩატარებული კვლევის შედეგები, გააკეთოს დასკვნა მიღებული შედეგებიდან გამომდინარე და დასახოს სამუშაოს გაგრძელების გეგმა/ მიმართულება.

3.3.3. დოქტორანტის მუშაობა თეორიულ/ექსპერიმენტულ კვლევის დროს ძირითადად მიმდინარეობს ხელმძღვანელთან კონსულტაციების (მათ შორის „ონლაინ“ რეჟიმში) და სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის ფორმატში. როგორც პირველი, ასევე მეორე და მესამე თეორიულ/ექსპერიმენტულ კვლევის მოცულობაა 15 კრედიტი ანუ 375 საათი (15X25=375 სთ). მათ შორის, სწავლების მესამე სემესტრში ხელმძღვანელთან კონსულტაციების 15 საათი, ხოლო დამოუკიდებელი მუშაობისთვის 360 სთ. ხოლო სწავლების მეოთხე სემესტრში ხელმძღვანელთან კონსულტაციების 25 საათი, ხოლო დამოუკიდებელი მუშაობისთვის 350 სთ.

3.3.4. სემესტრების დასრულებამდე დოქტორანტი ხელმძღვანელს წერილობითი ფორმით წარუდგენს თეორიული/ექსპერიმენტული კვლევის შესაბამის ეტაპებზე მიღებულ შედეგებს.

3.3.5. თეორიული/ექსპერიმენტული კვლევის შეფასება ხდება დოქტორანტის ხელმძღვანელის მიერ 5 კომპონენტის საფუძველზე. ნაშრომი ფასდება მაქსიმუმ 100 ქულით. შეფასების სკალირებული ქულა (S) მიიღება ფორმულით $S=4 \times M$, სადაც M არის ხუთივე კომპონენტის შეფასების ჯამური ქულა. (დანართი 8)

თეორიული/ექსპერიმენტული კვლევის შეფასების კრიტერიუმებია:

1. კვლევის მეთოდების გამოყენება- მაქსიმალური შეფასება 5 ქულა;
2. წინასწარი შეხედულება კვლევის მოსალოდნელი შედეგების შესახებ- მაქსიმალური შეფასება 5 ქულა;
3. კვლევის შედეგების საფუძველზე დასკვნის გაკეთების უნარი- მაქსიმალური შეფასება 5 ქულა;
4. მოცემილ ეტაპზე ჩატარებული კვლევიდან გამომდინარე შემდგომი სამუშაო გეგმის წარმოდგენა- მაქსიმალური შეფასება 5 ქულა;
5. თემის წარდგენის უნარი- მაქსიმალური შეფასება 5 ქულა;

3.3.6. ყოველი თეორიული/ექსპერიმენტული კვლევის დადებითი შეფასების შემთხვევაში (51 და მეტი ქულა), დოქტორანტი აგრძელებს სწავლას.

3.3.7. თეორიული/ექსპერიმენტული კვლევის უარყოფითი შეფასების შემთხვევაში (51-ზენაკლები ქულა), დოქტორანტი განმეორებით წარადგენს ნაშრომს არსებული წესის შესაბამისად.

3.3.8. თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა 1-ის წინაპირობაა მე-2 პროსპექტუსის გავლა;

3.3.9. თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა 2-ის წინაპირობაა თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა 1-ის გავლა, ხოლო თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა 3-ის წინაპირობაა თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა 2-ის გავლა.

3.3.10. თეორიული/ექსპერიმენტული კვლევის წინაპირობაა 2016/2017 სასწავლო წლიდან დამტკიცებული პროგრამებისათვის, კოლოკვიუმი - 1 და კოლოკვიუმი - 2-ის გავლა.

4. კოლოკვიუმი

3.4.1. თეორიულ/ექსპერიმენტული კვლევის საფუძველზე დოქტორანტს სწავლების მესამე, მეოთხე და მეხუთე სემესტრებში ევალუება სამი კოლოკვიუმის მომზადება (2018-19 წლიდან აკრედიტებული პროგრამებისათვის ორი კოლოკვიუმის მომზადება). კოლოკვიუმები უნდა ასახავდეს დოქტორანტის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს. კოლოკვიუმის შესრულებისა და მისი დაცვის შემდეგ დოქტორანტი განივითარებს შემდეგ კომპეტენტურობებს: ცოდნა და გაცნობიერება; ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი; დასკვნის უნარი; კომუნიკაციის უნარი; სწავლის უნარი; ღირებულებები;

3.4.2. კოლოკვიუმის ძირითადი მიზანია დოქტორანტის ცოდნის სისტემატიზაცია, გაწეული მუშაობის წარმოდგენა/პრეზენტაცია, დოქტორანტის შემოქმედებითი აზროვნების წარმოჩენა, სამეცნიერო საზოგადოებასთან კომუნიკაციისათვის აუცილებელი უნარის გამომუშავება; (ა.ს. დადგენილება 21.12.2018, №01-05-04/365)

3.4.3. კოლოკვიუმი უნდა ასახავდეს თეორიული/ექსპერიმენტული კვლევის დასაბუთებულ შედეგებს. კოლოკვიუმზე დოქტორანტმა უნდა წარმოაჩინოს, რა მოცულობითა და სიღრმითაა გამოკვლეული კონკრეტული საკითხი (კვლევის ხარისხი), ჩატარებული კვლევების საფუძველზე მიღებული შედეგებიდან გააკეთოს დასკვნები და განსაზღვროს მუშაობის შემდგომი მიმართულება; წარმოაჩინოს მიღებული და მოსალოდნელი შედეგები, გააკეთოს გამოსაქვეყნებლად მომზადებული ან გამოქვეყნებული პუბლიკაციების ანალიზი;

3.4.4. პირველი და მეორე კოლოკვიუმების მოცულობა უნდა იყოს არანაკლებ 20 გვერდისა დანართების გარეშე (თითოეულის), ხოლო მესამესი არანაკლებ - 40 გვერდისა. ყველა გვერდი უნდა დაინომროს თანმიმდევრობით, დაუშვებელია თავისუფალი სივრცის ან გვერდის დატოვება. ტექსტი უნდა შესრულდეს A4 ფორმატის (297×210 მმ) 80 გ/მ² სიმკვრივის ქაღალდზე, შრიფტი - Sylfaen, ზომა 12. გვერდის ნომრებისა და სქოლიოს შრიფტის მინიმალური ზომაა - 10. თავებისა და ქვეთავების დასახელებაში შეიძლება გამოყენებული იქნას უფრო დიდი ზომის შრიფტი. ნაშრომის ძირითადი ტექსტისთვის ინტერვალი არის 1.5. ტექსტი უნდა დაიბეჭდოს მხოლოდ ერთ გვერდზე. გვერდის მარცხენა მხარეს უნდა დარჩეს 30 მმ მინდორი, ხოლო დანარჩენ მხარეებზე - 20 მმ. ტექსტი უნდა დაიბეჭდოს ლაზერულ პრინტერზე ან მასთან მიახლოებული ხარისხით. ნაშრომს უნდა ერთვოდეს გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი;

3.4.5. დოქტორანტის მუშაობა კოლოკვიუმზე ძირითადად მიმდინარეობს ხელმძღვანელთან კონსულტაციების (მათ შორის „ონლაინ“ რეჟიმში) და სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის ფორმატში (2012 და 2014 წლიდან აკრედიტებული პროგრამებისათვის) პირველი და მეორე კოლოკვიუმის მოცულობაა 15 კრედიტი, ანუ 375 საათი (15X25=375 სთ). მათ შორის, ხელმძღვანელთან კონსულტაციების 25 საათი, ხოლო დამოუკიდებელი მუშაობისთვის 350 სთ. მესამე კოლოკვიუმის მოცულობაა 30 კრედიტი, ანუ 750 საათი (30X25=750 სთ.), მათ შორის, ხელმძღვანელთან კონსულტაციების 50 საათი, ხოლო დამოუკიდებელი მუშაობისთვის 700 სთ.

3.4.5¹. 2018-2019 წლიდან აკრედიტებული პროგრამებისათვის პირველი და მეორე კოლოკვიუმის მოცულობაა 30-30 კრედიტი ანუ 750 საათი (30X25=750 სთ.), მათ

შორის, ხელმძღვანელთან კონსულტაციების 50 საათი, ხოლო დამოუკიდებელი მუშაობისთვის 700 სთ.

3.4.6. კვლევის მოცემულ ეტაპზე მიღებული შედეგები წარედგინება აკადემიურ დეპარტამენტს კოლოკვიუმის სახით, მათი პრეზენტაციის მიზნით. დეკანი აკადემიური დეპარტამენტის თავმჯდომარის წაედგინებით ქმნის 5-7 წევრისგან შემდგარ კომისიას, რომელშიც უნდა შედიოდნენ დარგის აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები. კომისიის შემადგენლობა მტკიცდება საფაკულტეტო ბრძანებით. კომისიის მუშაობას უნდა დაესწროს დოქტორანტის ხელმძღვანელიც. კომისიაზე დოქტორანტი წარმოადგენს კვლევის მოცემულ ეტაპზე მიღებულ შედეგებს (20-25 წუთი);

3.4.7. კომისიის თითოეული წევრი კოლოკვიუმს აფასებს 6 კრიტერიუმის საფუძველზე (დანართი 9)

კოლოკვიუმის შეფასების კრიტერიუმებია:

1. მოცემულ ეტაპზე ჩატარებული კვლევის მეთოდებისა და მიმართულების შესაბამისობა დასმულ პრობლემასთან- მაქსიმალური შეფასება 5 ქულა;
2. მოცემულ ეტაპზე ჩატარებული კვლევის ხარისხი- მაქსიმალური შეფასება 5 ქულა;
3. მოცემულ ეტაპზე ჩატარებული კვლევის საფუძველზე დასკვნის გაკეთება- მაქსიმალური შეფასება 5 ქულა;
4. კვლევის შემდგომი მიმართულების განსაზღვრა- მაქსიმალური შეფასება 5 ქულა;
5. გამოქვეყნებული ან პუბლიკაციისათვის გამზადებული შრომის ანალიზი- მაქსიმალური შეფასება 5 ქულა;
6. თემის წარდგენის უნარი- მაქსიმალური შეფასება 5 ქულა.

ნაშრომი ფასდება მაქსიმუმ 100 ქულით. შეფასების სკალირებული ქულა (S) მიიღება ფორმულით $S=3.33 \times M$, სადაც M არის ექვსივე კომპონენტის შეფასების ჯამური ქულა (დანართი 9).

3.4.8. თითოეული კოლოკვიუმის დადებითი შეფასების შემთხვევაში (51 და მეტი ქულა), დოქტორანტი აგრძელებს სწავლას.

3.4.9. კოლოკვიუმის უარყოფითი შეფასების შემთხვევაში (51-ზე ნაკლები ქულა), დოქტორანტი განმეორებით წარადგენს ნაშრომს არსებული წესის შესაბამისად.

3.4.10. კოლოკვიუმი-2-ის წინაპირობაა კოლოკვიუმი-1-ის გავლა;

3.4.11. კოლოკვიუმი-3-ის წინაპირობაა კოლოკვიუმი-2-ის ორის გავლა.

5. დისერტაციის დასრულება და დაცვა (სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა)

3.5.1. დისერტაციის დასრულება და დაცვა (სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა) კვლევითი კომპონენტის ძირითადი ნაწილია. დასრულებული დისერტაცია უნდა წარმოადგენდეს დოქტორანტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგს. იგი უნდა ასახავდეს დოქტორანტის მიერ ჩატარებული თეორიული/ექსპერიმენტული კვლევის მეცნიერულად დასაბუთებულ ახალ შედეგებს და/ან წყვეტდეს აქტუალურ სამეცნიერო პრობლემას. მას უნდა ახასიათებდეს მეცნიერული სიახლე და წვლილი შეჰქონდეს დარგის განვითარებაში. ნაშრომში წარმოდგენილი უნდა იყოს სადისერტაციო კვლევის მეცნიერული დონე, კვლევის ხარისხი, სამეცნიერო კვლევის შედეგების მდგრადობა და სანდოობა, ფინანსურ მაჩვენებლები (არსებობის შემთხვევაში), გამოყენებული მეთოდები (მეთოდოლოგია), ნაშრომის თეორიული/პრაქტიკული ღირებულება, ჰუმანიტარულ დარგებისათვის სადისერტაციო ნაშრომის განსაკუთრებული მახასიათებელია ახალი ლიტერატურული წყაროების აღმოჩენა და მათი შეტანა სამეცნიერო მიმოქცევაში (მაგალითად, ეპიგრაფიკული ძეგლები; ლექსიკოგრაფიული კვლევები; ხელნაწერები და მათი ტექსტების კრიტიკული კვლევები; საარქივო მონაცემები; არქეოლოგიური, ეთნოლოგიური და ლინგვისტური კვლევების საველე მონაცემები;

სამუზეუმო და შემნახველ ინსტიტუციათა კოლექციების კვლევებით ახლად დადგენილი ფაქტები და ა.შ.);

3.5.2. დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომისდაცვა შეიძლება შედგეს სადოქტორო პროგრამის შესაბამისი მეცნიერების დარგის 7-9 წარმომადგენლისაგან შემდგარ სადისერტაციო კოლეგიაზე (მათ შორის 30% არ უნდა იყოს სადისერტაციო საბჭოს წევრი) ან საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოზე და შეფასდეს ამ დანართის 3.1.3 და 3.1.4 პუნქტების შესაბამისად.

3.5.3. არადამაკმაყოფილებელი (*insufficienter*) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადასაწყვეტელი სადისერტაციო ნაშრომი, ხოლო სრულიად არადამაკმაყოფილებელი (*sub omni canone*) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას;

3.5.4. დასახელებული შეფასებები მიიღება შესაბამისი კოლეგიის/საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრების მიერ მინიჭებული ქულების (0-100) საშუალო არითმეტიკულის მიხედვით, შემდეგი კრიტერიუმების შესაბამისად (დანართი 10):

- სადისერტაციო თემის აქტუალობა - შეფასება 15 ქულამდე;
- სადისერტაციო ნაშრომის სიახლე - შეფასება 18 ქულამდე;
- სადისერტაციო ნაშრომის თეორიული/პრაქტიკული ღირებულება - შეფასება 18 ქულამდე;
- სადისერტაციო ნაშრომში დასმული პრობლემისა და მისი გადაწყვეტის წარმოჩენა - შეფასება 25 ქულამდე;
- პასუხები დასმულ შეკითხვებზე - შეფასება 18 ქულამდე;
- მასალის ვიზუალური წარმოდგენა - შეფასება 6 ქულამდე.

დანართი 1. კრედიტების განსაზღვრის პრინციპი პროფესორის ასისტენტობისთვის

პროფესორის ასისტენტობის კრედიტების მოცულობა განსაზღვრულია შემდეგი პრინციპით:

- სემინარის, ლაბორატორიული სამუშაოს ან პრაქტიკულის თითოეულ ჩასატარებელი საათის მომზადებისათვის ესაჭიროება ოთხი საათი. დოქტორანტმა სემესტრის განმავლობაში სემინარის, ლაბორატორიული სამუშაოს ან პრაქტიკულის სახით უნდა ჩაატაროს 12 საათი. მაშასადამე, აღნიშნული კომპონენტისთვის მას ესაჭიროება 60 სთ ($12 \times 48 = 60$)
- შუალედური შეფასების საკითხების მომზადებისათვის დოქტორანტს სჭირდება 4 საათი. სულ 2 შუალედური შეფასების საკითხების მომზადებისათვის მას დასჭირდება 8 საათი.
- ერთი სტუდენტის შუალედური შეფასების ნაშრომის გასწორებისათვის დოქტორანტს სჭირდება 0.3 სთ, ამრიგად, დოქტორანტს 1 სტუდენტის ორი შუალედური შეფასებისათვის სჭირდება 0.6სთ. დოქტორანტმა უნდა გაასწოროს 25 სტუდენტის ორი შუალედური გამოცდის ნაწერები. შესაბამისად, მას სულ დაჭირდება 15 სთ.
- შესაბამისი მეთოდოლოგიის დაუფლებისა და პროფესიული სრულყოფის მიზნით დოქტორანტი უნდა დაესწროს თავისი ხელმძღვანელის (ან სხვა რომელიმე სრული ან ასოცირებული პროფესორის) ლექციას 15 სთ.
- დამოუკიდებელი მუშაობა 37 საათი (პრეზენტაციის მოსამზადებლად)

ამრიგად, პროფესორის ასისტენტობის მოცულობა არის $60+8+15+15+37=135$ სთ ანუ $135/27=5$ კრედიტი.

დანართი2. პროფესორის ასისტენტობის შუალედური შეფასების კრიტერიუმები

1. სემინარის, ლაბორატორიული სამუშაოს ან პრაქტიკულის ჩატარება - მაქსიმალური შეფასება3 ქულა

2.5-3 ქულა	დოქტორანტი კარგად არის მომზადებული, ზედმიწევნით კარგად ფლობს სილაბუსით გათვალისწინებულ მასალას. დასმულ შეკითხვებზე პასუხები სრულყოფილი, სწორი და დასაბუთებულია. დოქტორანტს გააზრებული აქვს და კარგად ერკვევა პრობლემურ საკითხში. სწავლების მეთოდებს იყენებს ეფექტურად, მიზნობრივად დაკომპლექსურად.
2-2.5 ქულა	დოქტორანტი მომზადებულია, ფლობს სილაბუსით გათვალისწინებულ მასალას. დასმულ შეკითხვებზე პასუხები სწორია, თუმცა შეკვეცილი. მას გააზრებული აქვს და ერკვევა პრობლემურ საკითხში. სწავლების მეთოდებს იყენებს მიზნობრივად დაკომპლექსურად.
1.5-2 ქულა	დოქტორანტი მომზადებულია, ფლობს სილაბუსით გათვალისწინებულ მასალას. დასმულ შეკითხვებზე პასუხები მწირია. სრულყოფილად ვერ ერკვევა პრობლემურ საკითხში.
1-1.5 ქულა	დოქტორანტი არ არის კარგად მომზადებული. ფლობს სილაბუსით გათვალისწინებულ მასალას, მაგრამ აღინიშნება ნაკლოვანებები. დოქტორანტი მართალია იცნობს პრობლემურ საკითხს, მაგრამ გააზრებული არ აქვს იგი. დასმულ შეკითხვებზე გაცემული პასუხები არ არის სრულყოფილი. მიზნობრივად იყენებს მხოლოდ სწავლების ცალკეულ მეთოდებს.
0.5-1 ქულა	დოქტორანტი ფაქტობრივად მოუმზადებელია. არასაკმარისად აქვს ათვისებული სილაბუსით გათვალისწინებული მასალა. დასმულ შეკითხვებზე გაცემული პასუხები ბუნდოვანია. დოქტორანტი ვერ ერკვევა პრობლემურ საკითხებში. გამოყენებული სწავლების მეთოდები ვერ უზრუნველყოფს კონკრეტული შედეგების მიღებას.
0-0.5 ქულა	დოქტორანტი სრულიად მოუმზადებელია. ფლობს სილაბუსით გათვალისწინებული მასალის მხოლოდ ცალკეულ ფრაგმენტებს. დასმულ შეკითხვებზე გაცემული პასუხები არსებითად მცდარია ან პასუხი შეკითხვის შესაბამისი არ არის. სწავლების მეთოდები გამოყენებულია არაკვალიფიციურად ან აღნიშნული კომპონენტი არ არის შესრულებული საერთოდ.
<p>შენიშვნა: თითოეული სემინარის, ლაბორატორიული სამუშაოს ან პრაქტიკულის ერთი მეცადინეობის ჩატარება ფასდება 5 ქულით. დოქტორანტმა სემინარის, ლაბორატორიული სამუშაოს ან პრაქტიკულის ჩატარების შემთხვევაში შესაბამისად შეიძლება დააგროვოს მაქსიმუმ 18 ქულა (6x3).</p>	

2. შუალედური შეფასებისთვის საკითხების მომზადება - მაქსიმალური შეფასება6 ქულა

5-6 ქულა	შუალედური შეფასების საკითხები მომზადებულია დარგობრივი ტერმინოლოგიის დაცვით ეფექტურად, მიზნობრივად დაკომპლექსურად. დოქტორანტი ზედმიწევნით კარგად ფლობს შეფასებისათვის განკუთვნილ მასალას. შუალედური შეფასების საკითხები უნაკლოდ არის შედგენილი.
4-5 ქულა	შუალედური შეფასების საკითხები მომზადებულია დარგობრივი ტერმინოლოგიის დაცვით მიზნობრივად დაკომპლექსურად. დოქტორანტი კარგად ფლობს შეფასებისათვის განკუთვნილ მასალას. შუალედური შეფასების საკითხები კარგად არის შედგენილი.
3-4 ქულა	შუალედური შეფასების საკითხები მომზადებულია დარგობრივი ტერმინოლოგიის დაცვით. დოქტორანტი ფლობს შეფასებისათვის განკუთვნილ მასალას. შუალედური შეფასების საკითხები კარგად არის შედგენილი.
2-3 ქულა	შუალედური შეფასების საკითხები მომზადებულია დარგობრივი ტერმინოლოგიის დაცვით, თუმცა შეკვეცილად. დოქტორანტი შეფასებისათვის განკუთვნილ მასალას ფლობს არასრულყოფილად. შუალედური შეფასების საკითხები დამაკმაყოფილებლად არის შედგენილი.

1-2 ქულა	შუალედური შეფასების საკითხები არასრულია დარგობრივი ტერმინოლოგია ნაკლოვანია. დოქტორანტი არასრულყოფილად ფლობს შეფასებისათვის განკუთვნილ მასალას, აღინიშნება ნაკლოვანებები. შუალედური შეფასებისათვის მომზადებული საკითხები ვერ უზრუნველყოფს კონკრეტული შედეგების მიღებას
